რა გეგმები აქვს წარმომადგენლობითი ორგანოს ახალ წევრს?

მარი კოძოევი

დამაჯერებელი გამარჯვება - ასე შეაფასეს დავით მდინარაძის შედეგი არჩევნებზე. „ქართული ოცნების“ კანდიდატებს შორის მას ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს: №60.03 საარჩევნო უბანში – 346 ხმა, №60.08 საარჩევნო უბანში – 498 ხმა, №60.10 საარჩევნო უბანში – 245 ხმა, №60.55 საარჩევნო უბანში – 274 ხმა, №60-.57 საარჩევნო უბანში – 280 ხმა.

საბოლოო ჯამში დავით მდინარაძე, 71,75%-ით, საკრებულოში ოზურგეთის ყველაზე დიდი საარჩევნო უბნის, სერი-ანასეული-ექადიის მოსახლეობის წარმომადგენელი გახდა.

1960 წელს სექტემბრის თვეში დაიბადა, წარმატებული მშობლების ფიზიკოსი მამისა და მეან-გინელოკოგი დედის ოჯახში. დედის მსგავსად, თვითონაც ექიმი გახდა. მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1979 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. 1986 წლამდე ეუფლებოდა ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო პროფესიას. მთელი მისი კარიერა ოზურგეთს უკ-

გვ-2

მერაბ ჭანუყვაძე არჩევნების შედეგებზე და მის წინაპირობებზე

მარი კოძოევი

არჩევნები ოზურგეთის ოლქში ოცნების კანდიდატის დავით მდინარაძის მოგებით დასრულდა. მან სულ 1643 ხმა აიღო. მეორე ადგილზე 363 ხმით „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი კობა ზაქარეიშვილი გავიდა, 108 ხმა აიღო დამოუკიდებელმა კანდიდატმა კაკო თავდუმაძემ, ასევე დამოუკიდებელ კანდიდატს ტოგო ჭელიძეს 102 ხმა ერგო, 55-მა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი მარიამ მაჩაბერიძეს. დანარჩენმა 8 კანდიდატმა ხმების უმნიშვნელო რაოდენობა აიღეს. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ 1 ხმა ჰქონდათ.

„ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **მერაბ ჭანუყვაძე** ამბობს, რომ კარგი კანდიდატიც ჰყავდათ და კარგი წინასაარჩევნო კამპანიაც ჩაატარეს:

„რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან კარგი კანდიდატი გვყავდა. მის განვლილ ცხოვრებას ოზურგეთელები სათანადოდ

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 21 (10314) 27 მაისი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

უცხოელი სპეციალისტები გურიაში ფარისანას საწინააღმდეგო ღონისძიებებს გაეცნენ

ავსტრალიელი და ახალი ზელანდიელი სპეციალისტები, ფარისანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ქართული გამოცდილების გაზიარების მიზნით, რეგიონებში არსებულ მდგომარეობას ადგილზე ეცნობიან და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრებს მართავენ.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, უცხოელი სპეციალისტები, გურიის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებს **ქეთევან მოისწრაფეშვილს, გია ებრალიძეს** და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

უცხოელ სპეციალისტებს, **ქეთევან მოისწრაფეშვილმა** მიაწოდა ინფორმაცია, რეგიონში მავნებლის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების, შედეგების და სამოქმედო გეგმის შესახებ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, გურიაში სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობების და მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით, მასშტაბური ღონისძიებები გატარდა.

შეხვედრას, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე **ზურაბ ლიპარტია,** მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი **ნიკა მესხი** და მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაესწრნენ.

სპეციალისტების განმარტებით, მათთვის მნიშვნელოვანია არსებული გამოცდილების და კოორდინირებული მუშაობის გაცნობა, რაც მათ ეფექტიანი ღონისძიებების გატარებაში დაეხმარება.

გომელები ბჟუჟზე ახალი ჰესის მშენებლობას აპროტესტებენ

„რას შესძენს სახელმწიფოს 5-მეგავატიანი ელექტროსადგური იმასთან შედარებით, რა ზიანსაც იგი ბუნებას მიაყენებს!“

22 მაისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში (გომი) გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარია** ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

თავდაპირველად მოსახლეობას სხვადასხვა სფეროში მიმდინარე სიახლეები გააცნეს: სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსმა **თეა კუპრაძემ** ერთიან აგროპროექტზე „დანერგე მომავალი“ და ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროექტებზე ისაუბრა; გუბერნატორის მოადგილე **ქეთი მოისწრაფიშვილმა** - განათლების რეფორმაზე, პედაგოგების ხელფასების ზრდაზე; ოზურგეთის სოციალური სამსახურის უფროსმა **თეა ლომჯარიამ** - **C** ჰეპატიტის, შიდსის, ტუბერკულოზის და უფასო მედიკამენტების პროგრამებზე.

თუმცა, დარბაზში შეკრებილთ „ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ მდინარე ბჟუჟის უნიკალურ ხეობაში ახალი ჰესის პროექტის გაცნობა უფრო აინტერესებთან, რასაც ისიც ადასტურებდა, რომ სოფელ გომის საჯარო სკოლის დარბაზში შეკრებილთ კითხვებიც კი არ დაუსვამთ გამოსვლელთათვის საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებზე.

გურიის გუბერნატორმა თქვა, რომ ის ჯერჯერობით არ იცნობს ჰესის პროექტს და მისი მშენებლობა ფართო განხილვისა და მოსახლეობის ჩართულობის გზით უნდა გადაწყდეს.

დარბაზში მსხდომთაგან რამდენიმეს აზრი იყო, რომ თუკი ჰესი სიკეთეს მოუტანს სოფელს, ის უნდა აშენდეს, უმეტესობა რადიკალურად არის განწყობილი და მიიჩნევენ, რომ ბჟუჟჰესის ქვემოთ, მდინარე ბჟუჟის უნიკალურ ხეობაში ჰესის მშენებლობა დიდ ზიანს მიაყენებს ფლორასა და ფაუნას, რის მაგალითი მდინარე კალუას ხეობაა, სადაც „ბჟუჟჰესის“ ამჟამინდელმა მფლობელებმა, ყოველგვარი განხილვისა და მოსახლეობასთან დიალოგის გარეშე, 2010 წელს მდინარეს კალაპოტი შეუცვალეს და ხეობას დიდი ზიანი მიაყენეს.

იყო საუბარი ტურიზმის განვითარებასა და კაიაკინგის ევროპის ჩემპიონატზე.

– იქ, სადაც კაიაკინგის ევროპის ჩემპიონატი ტარდება, რომელიც უკვე ტრადიციული გახდა. ბჟუჟის ხეობაში უამრავი ტურისტი ჩამოდის გერმანიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, რამაც სოფელს ახალი სიცოცხლე

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი თვიშობათი ალიონზე

«ალიონით»

რა გეგმები აქვს წარმომადგენლობითი ორგანოს ახალ წევრს?

ავშირდება. პირველი მისი სამსახური ნარუჯის საექიმო ამბულატორია იყო. ამის შემდეგ ოზურგეთის სამშობიარო სახლში პედიატრი და ამავდროულად მთავარი ექიმის მოადგილე იყო დედათა და ბავშვთა მომსახურების დარგში. ამ პერიოდს უკავშირდება ბავშვთა პოლიკლინიკური სამსახურის გაუმჯობესების სტრატეგიის შექმნა. სამშობიარო სახლის შემდეგ 1996 წელს დაინიშნა ბავშვთა საავადმყოფოს მთავარ ექიმად. ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი მომავალია“, რომელმაც, მისივე თქმით მოსახლეობისთვის სასიკეთო ბევრი პროექტი განახორციელა. მაგალითად, მშობლებს ასწავლიდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ექიმამდელ პერიოდში. როგორ მოევლოთ ბავშვისთვის მაღალი ტემპერატურის, ალერგიის, სისხლნაკლებობის დროს. ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმობის შემდეგ, „ბავშვთა სამკურნალო ცენტრის“ დირექტორი და ამავე დროს ექიმი პედატრია. მიღებული აქვს ღირსების ორდენი.

რაც შეეხება დავით მდინარაძის პოლიტიკასთან კავშირს. მას დეპუტატის მანდატი 2000-2004 წლების საკრებულოშიც ჰქონდა. ბოლო არჩევნებზე საუბრისას ამბობს, რომ სიამოვნებით დათანხმდა, როცა დეპუტატობისთვის ბრძოლა შესთავაზეს.

დავით მდინარაძე: *„მინდა, მადლობა ვუთხრა მოსახლეობას გამოცხადებული ნდობისთვის. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მომცა ხმა და ვინ არა. მე მათ გვერდით ვიქნები. ძალ-იან დიდი სურვილი მაქვს, მოსახ-ლეობას პრობლემები გადავუწყვიტო. საბედნიეროდ, ამის რესურსი ჩანს. ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 40 მილიონია, ბევრად მეტი, ვიდრე წინა წლებში. ამიტომ, ვფიქრობ, შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვან პროექტებზე მუშაობა“.*

ახლა უკვე დეპუტატი ამბობს, რომ წინასაარჩევნო შეხვედრები მნიშვნელოვნად ინფორმაციული იყო. „კარდაკარის“ პრინციპმა და მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტმა სამუშაო გეგმების მნიშვნელოვანი ნაწილი დაალაგებინა.

დავით მდინარაძე: *„ეს იყო ყველაზე კარგი ინდიკატორი, გავეგო რა პრობლემების წინაშე ვიდექით, რა არის უპირატესად მოსაგვარებელი მოსახლეობისთვის. კარდაკარ სიარ-ულმა ძალიან ბევრი ყოფითი პრობლემა გამოკვეთა. ამ პერიოდში მოვახდინეთ პრობლემების სისტემატიზაცია, დახარისხება. მაგალითად, რა სჭირდება მრავალსართულიან საცხოვრებელ ბინებს? ვის აქვს სახურავის პრობლემა? სად არის გაფუჭებული გზა? რა მოთხოვნები აქვთ ბავშვებს და ახალგაზრდებს? სწორედ ამ პრობლემებზე ვაპირებ მუშაობას და, რაც მთავარია მოსახლეობასთან კონტაქტი არ შეწყდება.*

მერაბ ჭანუყვაძე არჩევნების შედეგებზე და მის წინაპირობებზე

აფასებენ. ამავდროულად შტაბს ჰქონდა ძალიან მაგარი კამპანია, რომელიც მშვიდად, დემოკრატიულად ჩავატარეთ. ფაქტობრივად ყველა ოჯახში ვიყავით. შესაბამისად წინასწარ ველოდით იმ შედეგს, რაც დაიდო. წინასწარ გვქონდა მონაცემები ჩვენი შიდა გამოკითხვებით“.

ჭანუყვაძის თქმით, ყველა კანდიდატს თანაბარი პირობები ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად:

„ერთ-ერთი ძალიან მშვიდი წინასაარჩევნო გარემო ჩავატარეთ. არანაირ დაძაბულობას არ ჰქონია ადგილი. 13 პრეტენდენტი იღებდა მონაწილეობას და შესაბამისად ყველას ჰქონდა თავისუფალი გარემო იმისთვის, რომ წინასაარჩევნო კამპანია მშვიდ, დემოკრატიულ გარემოში ჩაეტარებინა. რა თქმა უნდ,ა ჩვენც ძალიან კარგი საარჩევნო კამპანია ჩავატარეთ და დაიდო ის შედეგი, რაც დაიდო. არც ერთი სუბიექტის მხრიდან არანაირი პრეტენზია არ გამოთქმულა, რაც ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნება“ ყოველთვის დემოკრატიულად ატარებს არჩევნებს“.

წინასაარჩევნო კამპანიაზე საუბრისას მოსახლეობასთან შეხვედრებზე, უშუალო კონტაქტზე, ამახვილებს ყურადღებას:

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი წინასაარჩევნო კამპანიის. შეხვედრებმა განაპირობა, რომ ბატონმა დავითმა უკვე იცის ის პრობლემები, რაც მოსახლეობას აწუხებს, იცის რას ითხოვენ ხელისუფლებისგან. უშუალოდ ხალხისგან აქვს ინფორმაცია აღებული. „ქართული ოცნების“ დეპუტატმა უკვე იცის, რა უნდა იყოს მისი პრიორიტეტი. დარწმუნებული ვარ, ძალიან ნაყოფიერი იქნება მისი მუშაობა წარმომადგენლობით ორგა-ნოში და მნიშვნელოვანი შედეგებით დაასრულებს სადეპუტატო მოღვაწეობას 2021 წელს. მოსახლეობა არ ინანებს, რომ გააკეთა ის არჩევანი, რაც გააკეთა“.

კითხვაზე - რამდენად მნიშვნელოვანი იყო სწორედ დავით მდინარაძე გამხდარიყო საკრებულოს დეპუტატი, გვპასუხობს:

„მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩვენმა გუნდმა თავ-შივე სწორად შეარჩია კანდიდატურა. ბატონი დავითიც დაგვთანხმდა იმიტომ, რომ დღევანდელი ხელისფლების პირობებში მას რეალურად აქვს შესაძლებლობა მოსახ-ლეობისთვის გაცემული დაპი-რება პირნათლად შეასრუ-ლოს. ჩვენი ვალდებულებაც, რა თქმა უნდა, ხალხთან მუშაობა და მათი სურვილების ასრულებაა“.

ქ. ოზურგეთში 20-მდე ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ **აკაკი შენგელიამ,** მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელ **თემურ გიორგაძესთან** ერთად, ოზურგეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში 20-მდე ქუჩის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში, დაიგება 6.5 კმ. ასფალტის საფარი. სამუშაოებს შპს „პალადა“ და შპს „გზამშენი 18“ აწარმოებენ. პროექტების ჯამური ღირებულება 2 182 151 ლარს შეადგენს.

ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ბაილეთის ცენტრის გავლით მიმდინარეობს გზის რეაბილიტაცია (5667 გრძ.მ). სამუშაოებს შპს „პალადა“ აწარმოებს და მისი ღირებულება 1 893 763 ლარს შეადგენს.

სოფელ ცხემლისიხიდი-სოფ.ვაკიჯვრის გზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაცია. (1662 გრძ.მ.) სამუშაოებს შპს „ბონდი 2009“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 730 000 ლარს შეადგენს.

სოფელ დვაბზუს ცენტრიდან სოფელ ბოხვაურის(ჭალას) სასაფლაომდე არსებული გზისა და ხიდის რეაბილიტაცია დასრულების ფაზაშია. (1387 გრძ.მ.) სამუშაოებს შპს „პალადა“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 345 000 ლარს შეადგენს.

ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით არსებული გზის რეაბილიტაცია. (5666 გრძ.მ) სამუშაოებს შპს „ფემინი კონსტრაქშენ გრუპი“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 1 434 400 ლარს შეადგენს.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მიმდინარე წელს დასრულდება. (დ).

სოფელ დვაბზუში ასფალტ-ბეტონის გზის საფარი დაიგო

ასფალტის ახალი საფარის დაიგო დვაბზუ-ბოხვაური-ჭალას დამაკავში-რებელი 1 387 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთზე. სამუშაოები შპს „პალადამ“ შეასრულა (მთავარი ინჟინერი დავით **ვაშალომიძე,** სამუშაოთა მწარმოებელი **ვაჟა სალუქვაძე**).

პროექტი, რომლის ღირებულება 355 ათას ლარს შეადგენს, ითვალისწინებდა და გაკეთდა სანიაღვრე გამწმენდი არხები, მილხიდი მდინარე დვაბზუარაზე, გზის შემასწორებელი ფენა–ქვიშა-ხრეშით, შემდეგ გზის ქვედა საფენი ფენა ფრაქციული ღორღით. ასფალტის საფარის დაგება გასულ კვირაში დასრულდა.



საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა

26 მაისს 101 წელი გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით დვაბზუს საჯარო სკოლის კლუბ „საფიხვნოს" წევრებმა 1918 წლის 26 მაისის ეროვნული საბჭოს სხდომის ინსცენირება მოაწყვეს.

ნათელა ღლონტი.
ღონისძიების ორგანიზატორი
კლუბ საფიხვნოს კურატორი,
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

გომელები ბჟუჟზე ახალი ჰესის მშენებლობას აპროტესტებენ

„რას შესძენს სახელმწიფოს 5-მეგავატიანი ელექტროსადგური იმასთან შედარებით, რა ზიანსაც იგი ბუნებას მიაყენებს!“

შემატა, ზუსტად იმ ადგილას ახალი ჰესის მშენებლობა ბჟუჟის ხეობისთვის უდიდესი დარტყმა იქნება. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სოფლის ამ ხეობით, რომელსაც გაქრობა ელოდება, – აღნიშნა შემოქმედელმა **ზაზა ზურაბიშვილმა.**

ბჟუჟის ხეობაში ახალი ჰესის აგებას ეწინააღმდეგება ადგილობრივი **ესე მახარაძე**, რომელიც გამოცდილი ენერგეტიკოსია და წლების განმავლობაში მუშაობდა ამ სისტემაში ქ. ოზურგეთის უბნის უფროსად.

– რას შესძენს სახელმწიფოს ეს 5-მეგავატიანი ელექტროსადგური იმასთან შედარებით, რა ზიანსაც იგი ბუნებას მიაყენებს. საფრთხე მიადგება ფლორასა და ფაუნას, მთლიანად შეცვლის და დაამახინჯებს გარემოს, სოფლისთვის უნიკალურ ადგილს „ჩაქუხას“, –ემოციას ვერ მალავდა იგი.

– არაფერს მისცემს ეს პროექტი სოფელს, გარდა ზიანისა, მაგრამ თუ მაინც გადაწყდა მისი აგება, ეს „ვაშლების“ ზემოთ უნდა მოხდეს –განაცხადა გომელმა **თედო ბურჭულაძემ.**

– იქნებ სოფელს სარგებელი მისცეს –ეს პოზიცია დააფიქსირა გომელმა **გოგიტა ბურჭულაძემ.**

ასევე ადგილობრივი **ბეჟან მექვაბიშვილის** აზრით, ხელისუფლება ამჟამად ერთ ჰესზე საუბრობს, თუ კი სოფელს დაითანხმებენ, მალევე გაირკვევა, რომ თურმე კიდევ სხვა ჰესებიც უნდა ააშენონ.

–მოსახლეობას ჰესიდან არანაირი სარგებელი არ ჰქონია – თქვა მან.

გურიის გუბერნატორმა შეახსენა მათ, რომ „ბჟუჟესი“ საბჭოთა პერიოდში აშენდა. იმ პერიოდში იქ დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა. შემდეგ ჰესს მიება საკონსერვო წარმოება; გაშენდა ვაშლების ბაღი, კიდევ რაღაცეები აშენდა. მოკლედ, რაღაც სიკეთე დარჩა სოფელს...

–2010 წელს რომ გაიყიდა, რა გააკეთა ახალმა მყიდველმა?– შეეწინააღმდეგენ გუბერნატორს.

ზურაბ ნასარაია - ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ რა მოთხოვნები გვაქვს მათთან.

გრიგოლ მახარაძე, *დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი:–* ჰესთან დაკავშირებით არის მცდარი წარმოდგენები, რაც მე არ მიკვირს. მოსახლეობის დიდი ნაწილს გამოცდილება მიღებული აქვს საბჭოთა პერიოდში და მაშინ მოქმედებდა ეს პრინციპი – სოფელში თუ ასფალტის ქარხანა იყო, იქ ასფალტი იგებოდა. მაგალითად, ჩემს სოფელში, მთისპირში „ბახვიჰესის“ აგებისას, ორი მოლოდინი იყო: – დასაქმების და დენის ტარიფის სიიაფის, რაც არ შესრულდა. მე მაინტერესებს თუ შეიძლება იურიდიულად, სამართლებრივად იცოდეს ამ ხალხმა,– დენის ტარიფი იყოს განსხვავებული. ველოდოთ ასეთ სარგებელს?

ზურაბ ნასარაია:–მე დავიჭერ თქვენს პოზიციას, თუკი თქვენ გექნებათ საღი აზრი. ჩამოვწეროთ და ჩამოვაყალიბოთ, რა გვინდა. დენის ტარიფის დაკლება, თავში ვიტყვი, რომ არარეალურია. ისეთ თემაზე გავაკეთოთ აქცენტი, რომელიც გაკეთებადია, მოვითხოვოთ და შემდეგ დავდებთ..

თამაზ ტრაპაიძე, *საია:* –შეხვედრა, რომელსაც სამინისტროს წარმომადგენლები ჩაატარებენ, გასაგებია. ეს იქნება სავალდებულო შეხვედრა. უნდობლობა რომ აქვს მოსახლეობას, ესეც გასაგებია, მაგრამ მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება სტანდარტებთან დაკავშირებით. **საქართველოს კანონმდებლობით, წყლის მილებში მოქცევისას, მდინარის აუზში წყლის 10 პროცენტი უნდა დარჩეს. ამერიკული კანონმდებლობით კი - 30 პროცენტი. ჩვენთან ეს სტანდარტები არის შემცირებული.** თუ ამერიკულ მოდელს გავით-ვალისწინებთ და მდინარის აუზში წყლის 30 პროცენტს დავტოვებთ, მაშინ არ მივიღებდით ისეთ შედეგს.

ზურაბ ნასარაია: –როცა საუბარია ამ პროცენტზე, უნდა ვიცოდეთ რა რაოდენობის წყალს მოიხმარს ჰესი. თუ მილი ატარებს წამში 5 კუბს, იგი 8 კუბს ვერ გაატარებს და ეს წყალი დარჩება მდინარეში. აქ საუბარია, როცა მდინარეში არის წყლის ნაკლებობა, მაგალითად არის 1,5 კუბური მეტრი. (ზაფხული, ზამთარი). ასეთ დროს ჰესი გაჩერდება.

:**ესე მახარაძე**, –რას შვრება ჰესი, როცა წყლის მიწოდება მცირეა?

ზურაბ ნასარაია: –ჰესი გაჩერდება.

ესე მახარაძე: –არა მგონია, ჰესი გააჩერონ.

ირმა გორდელაძე, *მოძრაობა „გადავარჩინოთ გურიის მდინარეები“*: –კომპანია, რომელიც ჰესის აშენებას აპირებს ამ მდინარეზე, დადებს დასკვნას, რომ ეკოლოგიას ზიანს არ მიაყენებს? სად მიაქვს გამომუშავებული ელექტროენერგია ინვესტორს? რა დარჩება სოფელს? ს დარჩება კალაპოტშეცვლილი მდინარე. მცირე ჰესები იწვევს მიწათმოქმედების გაუარესებას., იწვევს ერთ სანაპიროზე ნესტის მომატებას, მეორე სანაპიროზე გვალვას. თევზების განადგურებას და ეკოლოგიურ კატასტროფას. არაფერი არ დაგრჩებათ თქვენ აქედან. ამ საქმეში თქვენი მხარადაჭერის იმედი გვაქვს.

ზურაბ ნასარია: –საგზაო დეპარტამენტი, წიაღის ზედამხედველობა, გარემოს დაცვა, საპატრულო, საშემოსავლო, სამხარეო ხელისუფლება ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ერთობლივად იმსჯელებს ამ კონკრეტული ჰესის აშენების თემაზე. პრობლემები წლების მანძილზე დაგროვდა. ახლა ეს პრობლემები უნდა მივიყვანოთ ბოლომდე.

გოჩა ჟანიშვილი: – ეს ისტორიული სოფელია. .ზაფხულს აქ ატარებენ ქალაქში წასულებიც. კლიმატს შეცვლის. მე ამ სოფლის გულშემატკივარი ვარ.

ეს ჰესი ქვეყნის ენერგოსისტემას დიდს ვერაფერს მიუმატებს და ვერც დააკლებს. გვინდა ამ უნიკალურ ხეობაში ტურისტული ინფრასტრუქტურა განვითარდეს? დაწყებულია სერიოზული მსჯელობა. რისთვის?...

შეხვედრას კომპანია „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიის წარმომადგენელი, „ბჟუჟესის“ მენეჯერი **თენგიზ გოგელია** ესწრებოდა, თუმცა, იგი კამათში არ ჩაბმულა...

* * *

ვინ დგას ზემოთ დასახელებული კომპანიის უკან და რატომ ერიდებოდნენ შეხვედრაზე **დავით ბეჟუაშვილის** დასახელებას, ცოტა უცნაური გვეჩვენა, რადგან იგი ქართული ბიზნესელიტის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი წარმომადგენელია.

დავით ბეჟუაშვილი 1998 წელს მოქკავშირიდან გახდა პარლამენტის წევრი, ხოლო 2004, 2008, 2012 წლებში – „ნაციონალური მოძრაობიდან“. 2013 წელს გიორგი მარგველაშვილის საქართველოს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ დატოვა საპარლამენტო უმცირესობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

ძმები ბეჟუაშვილის ქონება არაოფიციალურად მილიარდ დოლარზე მეტადაა შეფასებული. ოფიციალურად კი დავით ბეჟუაშვილი საქართველოს მდიდარ ადამიანთა სიაში 300 მილიონი დოლარით მეთოთხმეტეა.

დავით ბეჟუაშვილი ბიზნესასპარეზზე 1998 წელს გამოჩნდა, როცა დაეუფლა „საქტრანსგაზის“ ასეულობით მილიონ დოლარად შეფასებულ ქონებას. მას ეკუთვნის „ საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი,“ რომელიც ათამდე თბო და ჰიდროელექტროსადგურებს აერთიანებს. ასევე ფლობს: „საქნახშირს,“ „ქუთაისის ავტომექანიკურ ქარხანას,“„ქართული ლუდის კომპანიას“, უძრავი ქონების კომპანია „თბილისი სითის“.

იგი სერიოზულ წილებს ფლობს საქართველოს ცემენტის, კირის, ღორღის, მშენებლობის, უძრავი ქონების, ტურიზმის და ალკოჰოლიანი სასმელების ბიზნესში. მას ეკუთვნის კომპანია „გლობალტრანსი“, რომელმაც ბოლო წლებში ასეულობით მილიონი ლარის ოდენობის სახელმწიფო ტენდერები მოიგო.

საქართველოდან თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტს ბეჟუაშვილის კუთვნილი კომპანია ახორციელებს. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც „ბორჩხა-ახალციხის“ 400-კილოვოლტიანი ელექტრო-

ოგადამცემი ხაზი ამოქმედდა.

2014 წლის 26 ნოემბერს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გამოცხადებულ აუქციონზე გამარჯვებულად „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია“ გამოცხადდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბეჟუაშვილის ენერგოკომპანია წელიწადში საშუალოდ 2 მილიარდ კილოვატსაათს ჰყიდის თურქეთში, საიდანაც მოგება 25 მილიონ დოლარს აჭარბებს...

გასულ კვირაში „რადიო პალიტრა 103.9“-ში ვრცელი გადაცემა მიეძღვნა მცირე ჰესების თემას გურიაში, კერძოდ, სოფელ ზემო სურებში მდინარე სუფსასა და ბარამიძის წყალზე ახალი ჰესების აგების საკითხს. გადაცემაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი თამაზ ტრაპაიძეც ჩაერთო.

გადაცემის მონაწილეები საუბრობდნენ საქართველოში ჰიდრორესურსების მკვეთრად შემცირების შესახებ, რომ იკარგება წყაროები, მჟავე წყლები, მილებში მდინარის გატარების გამო, გაქრობის საფრთხის ქვეშაა „სამეფო კალმახის“ უნიკალური ჯიში.

–ჰესების აშენება უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრად ჩამოყალიბებულ მეცნიერულ აზრს, –ამბობდა ბუნების დამცველი **სოფიკო სოხაძე.**

გადაცემაში ითქვა, რომ არის მოსახლეობაზე ზეწოლის და მოსყიდვის ფაქტები, მათ გადაბირებადაშინების პროცესში კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებიც ჰყავდათ ჩართული...ამაზე შესაბამისი შეტყობინება პოლიციას გაეგზავნა...

2018 წელს ევროპარლამენტმა რეზოლუციით დაამტკიცა ანგარიში საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შესახებ, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის საკითხებზე. მართალია ევროპარლამენტმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მაგრამ, ამასთან ევროპარლამენტმა მოუწოდა საქარ-თველოს მთავრობას:

– შეიმუშაოს ქმედითი ენერგეტიკული სტრატეგია, ხელი შეუწყოს განახლებადი ენერგიების ათვისებასა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებებს;

– გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობის დონე/ხარისხი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მი-ღებისას;

–გაუმჯობესოს საქართველოს მიერ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები უარს ამბობენ ბუნებაში უხეშ ჩარევაზე და ელექტროენერგიის მიღების ალტერნატიულ წყაროებს ეძებენ. ამის მაგალითია ჩვენთანაც, გასულ ორშაბათს **პრემიერ მინისტრ მამუკა ბახტაძის მიერ ქ. ქუთაისში მზის ენერგიის მოდულების წარმოების კომპანიის „აე სოლარის“ უახლოესი საწარმოს გახსნაა, რომელიც ავტომატური რობოტიზებული კონვეირების მეშვეობით 500 მეგავატის მოცულობის წლიურ წარმადობას უზრუნველყოფს.**

ამდენად გვესმის შემოქმედელთა (სოფელი გომი) დიდი ნაწილის კითხვის: **„რას შესძენს სახელმწიფოს ეს 5-მეგავატიანი ელექტროსადგური იმასთან შედარებით, რა ზიანსაც იგი ბუნებას მიაყენებს!“**

ნუგზარ ასათიანი

ოფორტი – თავისუფლების გამოხატულების საუკეთესო ხერხი

ალიონი. 18 მაისს, მუზეუმების საერთ-აშორისო დღესთან დაკავშირებით, რომლის სლოგანი იყო „ღამე მუზეუმში“, მუზეუმები, გალერეები, როგორც კულტურული ჰაბები - ტრადიციის მომავალი, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში გაიმართა ღია კარის დღე.

ღონისძიებათა ციკლი გაიხსნა ლექცია-საუბრებით ღია აუდიტორიისთვის, ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ** ისაუბრა სურათების გალერეის ოცდაათწლიანი ისტორიასა და მის სამომავლო ამოცანებზე.

ცენტრის დირექტორმა **ავთანდილ თავართქილაძემ** მსმენელებს რომაული შთაბეჭდილებები გაუზიარა და იტალიური და ქართული ხელოვნების საინტერესო კოლაჟი შესთავაზა სლაიდების თანხლებით.

ცენტრის კარი გვიან ღამემდე ღია იყო დამთვალიერებლებისთვის, რომლებსაც შეეძლოთ გასცნობოდნენ გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის წევრების საგაზაფხულო გამოფენას.

„ღამე მუზეუმში“ გაგრძელდა ცენტრთან არსებულ შემოქმედებითი სახელოსნოს **GURIAN-ART** -ის დაზგური გრაფიკის სახელოსნოში, მოეწყო მასტერკლასი ოფორტსა და მონოტიპიაში, რომელსაც გაუძღვა მხატვარ-გრაფიკოსი ავთანდილ თავართქილაძე. ამ პროცესში ჩართული იყვნენ სახელოსნოს ახალგაზრდა წევრები: ნინო ქორიძე, ნინო პატარავა, ელისაბედ გეგუჩაძე, გიორგი ჩიჩუა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მარინა ჯაფარიძე.

მასტერ-კლასი 18-23 მაისის ჩათვლით გაგრძელდა.

23 მაისს კი პროექტის მონაწილეებს საზეიმოდ გადაეცათ მასტერკლასის გავლის შესაბამისი სერთიფიკატები.

– ჩემთვის ძალიან საინტერესო პროექტში ვიყავი ჩართული, რომელიც მოხალისეთათვის დაზგური გრაფიკის(ოფორტი) ტექნიკის შესწავლას ემსახურება. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო პროცესი აღმოჩნდა. ყოველთვის მაინტერესებდა და მაოცებდა ხელოვნების ეს უძველესი მიმარეთულება, მაგრამ ახლა ვხვდები, ბოლომდე არ მქონდა გაცნობიერებული, რა რუტინული, ზუსტი და შრომატევადი პროცესია ოფორტზე მუშაობა. ჩემთვის დღეს უკვე, ოფორტი საკუთარი თავისუფლების გამოხატულების საუკეთესო ხერხია. აქ შესაძლებელია საკუთრი ერთი ესკიზიდან, გრავიურიდან, რამდენიმე ნახატი შექმნა და შემოქმედებითი პროცესი ექსპერიმენტების უდიდეს შესაძლებლობას აძლევს ავტორს. მადლობა გელერეას ამ შესაძლებლობისათვის – უთხრა გაზეთ „ალიონის“ ამ საინტერესო პროექტის მონაწილე **მარინა ჯაფარიძემ.**

აქცია „ღამე მუზეუმში“

ოზურგეთში ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავში-რებით აქცია „ღამე მუზეუმში“ გაიმართა.

ღინისძიებაში ადგილობრივმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა, ასევე ჩატარდა ვიქტორინა, სადაც გამარჯვებულ მონაწილეებს საჩუქრად წიგნები გადაეცა.

ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში ზურაბ ნასარაია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, მოადგილე ირაკლი სირაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ქვასანაყიდან ბლენდერამდე“ – ისტორიული მუზეუმის ისტორიული პროექტი კულინარიაზე

„შეიძლება, ნაცარქექია გურული იყო“ – შესარჩევ ტურში თქმული ყველაზე ფრთიანი ფრაზა

კულინარია რომ ერისა და მისი ისტორიის შესწავლის მესამე წყაროა, – ამის დასტურად გამოდგება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და გენდერულ საკითხთა განყოფილების ერთობლივი პროექტი „ქვასანაყიდან ბლენდერამდე“, რომელშიც ჩართულია მუნიციპალიტეტში მოქმედი საჯარო და სამრევლო სკოლების უფროსკლასელები.

პროექტის მიზანია ხელი შეეწყოს მოზარდებში კვლევითი უნარების განვითარებას, საკუთარი ქვეყნის, საკუთარი კუთხის ისტორიის, ტრადიციების შენარჩუნებას, ცოდნასა და პატივისცემას, ასევე გურული სამზარეულოსათვის გამორჩეული კერძების პოპულარიზაციას, რათა თაობიდან თაობას გადაეცეს და არ დაიკარგოს უძველეში ჩვევა-ტრადიციები.

პროექტის ამოცანა კი ის გახლავთ, რომ მასში მონაწილე საჯარო და სამრევლო სკოლების უფროსკლასელებმა საკუთარ კუთხეში მოიძიონ, გამოეკვლიონ და აღმოაჩინონ ძველი, ტრადიციული, უკვე მივიწყებული გურული კერძების რეცეპტები, გაიგონ გურული სამზარეულოს, გურული სუფრის თავის-ებურებების შესახებ, რას, როგორ და რაზე ამზადებდნენ ჩვენი წინაპრები ძველად, როცა არ იყო ელექტრონი და ელექტრონული საშუალებები.

პროექტის პირველი ეტაპი მუზეუმთა საერთაშორისო დღეს, 18 მაისს დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში შედგა და წარმატებული აღმოჩნდა, როგორც აქ ადრე გამართული სხვა ღონისძიებები.

შესარჩევ ტურში მონაწილეებმა პრეზენტაციებისა და კერძების იმდენად ფართო სპექტრი წარმოადგინეს, რომ კომპეტენტურ ჟიურის დიდ ძალისხმევა დასჭირდა ნომინაციებში გამარჯვებულთა გამოსავლენად.

საბოლოოდ, **ნომინაციაში „ორიგინალური“** გაიმარჯვა ბახვის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე **ნუცა ცეცხლაძემ.**

ნომინაციაში „ნოსტალგია“ საუკეთესოდ ცნეს გაღმა დვაბზუს საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე **ფოტინე კვაჭანტირაძის** ნაშრომი.

„მივიწყებულის გაცოცხლებად“ მიიჩნიეს გურიანთის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლის **თამთა ქინქლაძის** წარმოდგენილი მასალა.

ნომინაციაში „კერძი აღმოჩენა“ ბადალი არ ჰყავდა ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე **ელენე ჩხაიძეს.**

ნომინაციაში „ყველაზე მადის აღმძვრელი“ საუკეთესო იყო სოფელ შრომის VIII კლასის მოსწავლე **ანა კუბუსიძე.**

ნომინაციაში „საუკეთესო ბებიას რეცეპტი“ გაიმარჯვეს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა **დავით კვაჭანტირაძემ** და **გიორგი ჩხარტიშვილმა.**

ნომინაცია „ყველაზე ძველი გემოს“ გამარჯვებული გახდა სოფელ ნაგომრის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე **ინდირა მარკოიძე.**

ნომინაციაში „კერძი თავბრუდამხვევი სურნელით“ საუკეთესო იყო წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის X კლასის მოსწავლე **სალომე ჯულაყიძე.**

„კერძი გურული კულტურის ნაწილი“ – ამ ნომინაციაში საუკეთესოდ ცნეს დვაბზუს საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე **მარიამ ჭეიშვილი.**

ნომინაციაში „საუკეთესო წარდგენა“ დამსახურებულად და შთამბეჭდავად გაიმარჯვა ლიხაურის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე **მარინა კახიანმა,** რომელსაც ეკუთვნის ამ წერილის ქვესათაურად გამოტანილი, ღონისძიებაზე თქმული ყველაზე ფრთიანი ფრაზა **„შეიძლება ნაცარქექია გურული იყო“.**

„საუკეთესო კომპოზიციის“ მფლობელი გახდა ცხემლისხიდის საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე **მარიამ ჭანუყვაძე.**

ნომინაციაში „კერძი – საინტერესო თავგადასავალი“ გამარჯვებული გახდა ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე **ანანო არობელიძე.**

როგორც ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველმა, ჟიურის წევრმა **მანანა ლომაძემ** განაცხადა, აღნიშნული რეცეპტები გამოიცემა ნაბეჭდი სახით. აქვე **მან დააყენა საკითხი გურული ღვეძელისათვის არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ.**

ნომინაციებში გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებითა და შესაბამისი სიგელებით დააჯილდოვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

მუზეუმელებს, დამსწრე საზოგადოებასა და პროექტის მონაწილეებს მუზეუმთა საერთაშორისო დღე მიულოცა გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაიამ.**

პროექტის ფინალური ღონისძიებაც დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდება.

თემურ მარშანიშვილი

„ყველა გურულს ჰგონია, რომ მსოფლიოს ცენტრი არის გურია და დედამიწის ჭიპი მის ჭაშია განთავსებული“

ღვთის სახლში დაბადებული გურულების რძალი გურიის, გურულების, გურული ფოლკლორისა და სხვა ცხოვრებისეული საკითხების შესახებ

გურიას არაერთი პირმშვენიერი რძალი ჰყავს როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე უცხოეთიდან, მათ შორის ერთ-ერთი, უფრო სწორად, ერთადერთი დაბადებულია საღვთო ტაძარში. მაია გელაშვილს ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელს გაზეთი „ალიონი“ გასული კვირის ოთხშაბათს სტუმრობდა სამსახურში.

— ქალბატონო მაია, გელაშვილი საკმაოდ ვრცელი გვარია და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. თქვენ სადაური გელაშვილი ბრძანდებით?

— ჩემი გვარის ფესვი იმერულია, ხარაგაულის რაიონის სოფელ ნადაბურიდან მოდის. მე ქიზიყში დავიბადე, კერძოდ, სოფელ ბოდბეში, ღვთიშობლის სახელობის ტაძარში, რომლის ერთ ნაწილში მაშინ სამშობიარო იყო განთავსებული, ბებია მყავდა ქიზიყელი, გვარად მჭედლიშვილი. ვიზრდებოდი, ვსწავლობდი, ვცხოვრობდი და ვმოღვაწეობდი თბილისში. გურული სისხლიცაა ჩემში, დედა წითელმთიელი ჭანუყვაძის ქალია.

— რამდენი წელია, რაც გურულების რძალი ხართ?

— ჰოო, გურულების რძალი ვარ 2003 წლიდან, გურიაში ვცხოვრობ 2014 წლის სექტემბრიდან

— და ვინ არის ის ბედნიერი კაცი, ვისი მეუღლეც ბრძანდებით?

— ჩემი მეუღლე გახლავთ თემურ ანდღულაძე, გურულია, ერთმანეთი თბილისში გავიცანით, ერთად ვსწავლობდით კონსერვატორიაში.

— ჩემი სეხნია ყოფილა, ამჟამად რას საქმიანობს თემური?

— კლასიკური გიტარის სპეციალისტია, საზღვარგარეთ მუშაობს თავისი სპეციალობით.

— როგორ შეხვდა გურია თავის რძალს და რა არის დღეს თქვენთვის გურია?

— ჩემი მეუღლე როცა გავიცანი, მაშინ მივხვდი, ყველა გურულს ჰგონია, რომ მსოფლიოს ცენტრი არის გურია და დედამიწის ჭიპი მის ჭაშია განთავსებული. პირველად რომ ჩამოვედით, მატარებლით ვმგზავრობდით, შუაღამის მერე ჩემს მეუღლეს არ დაუძინია, ადგებოდა, გაიხედავდა ფანჯარაში, სიბნელე იყო და მაინც რაღაცას უყურებდა. აი, მაშინ გავიგე იმ სიმღერის შინაარსი „სულმა წინწინ გეიპარაო“. მისი სული უკვე აქ იყო, თავის უბანში, თავის ბიჭებთან, თავის ახლობლებთან. ნამდვილად უდიდესი სიყვარული ტრიალებს გურიაში, ხალხმა მე ეს დამანახა, ძალიან, ძალიან თბილად მიმიღო გურიამ.

— რამდენი შვილის დედა ხართ?

— სამი შვილი მყავს. უფროსი გოგონა 14 წლისაა, ბიჭი — 12 წლის, უმცროსი გოგონა კი — 9 წლის.

— არ ვაპირებდი, მაგრამ რადგან შვილების ასაკი მედიდა, უნდა გკითხოთ, რამდენი წლის ხართ?

— 49 წლისა გავხდი. ისე გავიდა წლები, ისევ ახალგაზრდა მგონია ჩემი თავი.

— გგონიათ კი არა, ისეთი შარმი გაქვთ, მამაკაცს დაატყვევებს და ულამაზეს ქალებს შეშურდებათ. სამი შვილის დედას გრჩებათ საიმისო დრო, რომ სრულყოფილად იღვაწოთ თქვენი პროფესიით?

— იცით რა? თავიდანვე მქონდა ძალიან დიდი პასუხისმგებლობა სამსახურისადმი. ხშირად სიცხიანი ბავშვიც კი დამიტოვებია და სამსახური არ გამიცდენია. თავიდან უკვირდა ჩემს დედამთილს, მაგრამ მერე თვითონაც მიხვდა, რომ ეს იყო პასუხისმგებლობა და არა უყურადღებობა ბავშვებისადმი. რა ვიცი, ვახერხებ მგონი.

— გურიამდე თბილისში ვმოღვაწეობდიო, უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ?

— კონსერვატორია როგორც კი დავამთავრე, მუშაობა დავიწყე ერთ-ერთ კერძო სასწავლებელში „რაინდთა და კეთილშობილ ასულთა საავტორო სკოლაში“, საინტერესო სკოლაა.. დირექტორს, ბატონ მურთაზ მნათობიშვილს ძალიან აწუხებდა ახალგაზრდობის თემა, უსაქმური, გარეთ მდგომი ბიჭების ბედი. ამიტომ, ამ სკოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვების სულიერ და ფიზიკურ მომზადებას. ზაფხულობით მიგვყავდა ისინი ბანაკში, სადაც ყველანაირად იწრთობოდნენ, დაგვყავდა ლაშქრობაში, სწავლობდნენ კლდეზე ცოცვას, მდინარეზე გადებული ბოგირით სარგებლობას. მოკლედ, ყველანაირ სპორტული აქტივობაში იყვნენ ჩართული.

— მოდით, გურიაში დაბრუნდეთ. თქვენ მიერ შექმნილი „სამშვენისის“ მორიგმა წარმატებამ გაიელვა სოციალურ ქსელსა და მედიაში.

— დიახ. ყოველწლიურად, უკვე მეხუთედ ტარდება საგუნდო მუსიკის ეროვნული კონკურსი. პირველი ადგილი და ოქროს მედალი დავიმსახურეთ, შარშანაც ანალოგიური შედეგი გვქონდა. არადა, „სამშვენისი“ სულ ორი წლის შექმნილია.

— მეჩონგურეთა ანსამბლსაც ვხედავდი თქვენთან, სხვადასხვა ღონისძიებაზე...

— ჩვენთან, ფოლკლორის ცენტრში ჩონგურს მამია რუსიძე ასწავლის. „სამშვენისის“ გოგონები მასთან სწავლობენ იმ სიმღერების დაკვრას, რომელსაც მე ვასწავლი. შეთანხმებულად ვმუშაობთ.

— ფოლკლორი რა არის თქვენთვის?

— ყველაფერი, რაც კი ქართულსა და საქართველოს უკავშირდება, — ეს არის ფოლკლორი ჩემთვის.

— ახალგაზრდობა და ფოლკლორი როგორ არიან ერთმანეთთან?

— მშვენივრად, მიხარია, რომ ახალგაზრდობა ეროვნულ ჰანგებზე ამღერდა. ყველა თავისი კუთხის სიმღერას უკვე სრულყოფილად ეუფლება, უფრო და უფრო მეტი ბავშვი მოდის ფოლკლორის ცენტრში.

— ასე დიდი ინტერესია?

— გურიის მაგალითზე ნამდვილად ასეა. სახეზეა ფოლკლორული ანსამბლების სიმრავლე. მე ვფიქრობ, ნელ-ნელა, თანდათანობით დაიხვეწება მათი შესრულების დონე და ახალ სიმაღლეებს მივაღწევთ. იყო პერიოდი, როცა თითქოს ერთ დონეზე გაიყინა და უკანაც წავიდა, საზოგადოებასაც უფრო მარტივი სიმღერები მოსწონდა, მაგრამ რახან დაიძრა, აუცილებლად დაიხვეწება მუსიკალური გემოვნებაც.

— თქვენ ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი ხართ, რამდენადაც ვიცი, რამდენიმე სფერო გაქვთ შეთავსებული, კადრების ნაკლებობა გაქვთ თუ...

— შეიძლება ითქვას, რომ ფეხს ვიკიდებთ, ახლა ვაწყობთ ყველაფერს, ამიტომ, ყველა განხრის სპეციალისტი ცალ-ცალკე არ გვყავს აყვანილი, ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელობამ დიდი ნდობა გამომიცხადა და რამდენიმე საქმე მართლაც მაქვს შეთავსებული. მერე იმედია, მოიყვანენ სპეციალისტებს და ყველა სფეროს, ყველა მიმართულებას თავისი ხელმძღვანელი ეყოლება. ასეთ შემთხვევაში დიდი სიამოვნებით ჩავიბარებდი მუსიკის მიმართულებას, მოვაწყობდი ექსპედიციებს თვითშემოქმედების აღმოსაჩენად და ჩასაწერად, ხელნაკეთობების გამოფენებს. ამ წუთში პოეზიაც, ზეპირსიტყვიერებაც მაგარია. მოკლედ, ჯერჯერობით ასეა, მაგრამ ხელმძღვანელობიდან ვიცი, რომ აუცილებლად იქნება სიახლეები ფოლკლორის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

— რა აზრისა ხართ თეზაზე „ქალი პოლიტიკაში“?

— დადებითის, რა თქმა უნდა. თუმცა, პოლიტიკურ თემაზე არასოდეს ვსაუბრობ და ვფიქრობ, რომ ეს არ არის ჩემი თემა, ამის ინტერესი არასოდეს მქონია, მაგრამ ისტორია გვიჩვენებს, რომ ქალი პოლიტიკოსები ძალიან ძლიერები იყვნენ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა პოლიტიკას მიყვეს. ძლიერი პოლიტიკოსი ქალები დღესაც გვყავს და რატომაც არა!

— როგორ ფიქრობთ გურიაში ირღვევა ქალთა უფლებები?

— საქართველო ამაყობდა იმით, რომ ქალისადმი პატივისცემა ჰქონდა ყოველთვის, თუმცა, ახლა აღარ არის ასე და ამაში მხოლოდ მამაკაცები არ სცოდავენ. თუ ერთმანეთისკენ არ წავედით, მუდმივად ასე იქნება. რადგან ქალთა უფლებების დაცვაზე მიდის ამდენი საუბარი, გამოდის, რომ მაინცა და მაინც კარგად ვერ გვქონია საქმე.

— სიყვარული რა არის თქვენთვის?

— უსიყვარულოდ როგორ შეიძლება რამე და ვინმე იყოს?! თუ საქმეში სიყვარული არ დევს და ადამიანებს შორის სიყვარული არ სუფევს, ის საქმე წარმატებული ვერ იქნება. სიყვარული ყველაფერს პატიობს ადამიანთა შორის ურთიერთობაშიც და საქმეშიც, ამიტომ ძლებს დიდხანს.

— თავიდან რომ დაგეწყოთ ცხოვრება, რას შეცვლიდით?

— ვერ გეტყვით, ცოტა ბუნებით ვარ ზარმაცი და ამაზე ყოველთვის გული მწყდება, როცა ჩემს ცხოვრებას გადავხედავ, მაგრამ, თავიდან რომ დავიწყო, უფრო ბეჯითი ვიქნებიმეთქი, ვერც ამის პირობას ვაძლევ საკუთარ თავს.

— პროფესიას რომ ვერ შეიცვლით, ამას ვხედავ, გარდა თქვენი პროფესიისა, რა გიტაცებთ?

— მიყვარს ძალიან მოგზაურობა. ბავშვობი სალაშქროდ დავყავდით

ანსამბლი „სამშვენისი“

მამაჩემს, ყოველ ზაფხულს ერთი თვე მოგზაურობას ეთმობოდა, ფაქტობრივად მთელი საქართველო ფეხით გვაქვს შემოვლილი. დიდად მადლობელი ვარ ჩემი მშობლების, რომ გვაჩვენეს ჩვენი ქვეყანა, თავისი მრავალფეროვნებით, ხალხის ხასიათის განსხვავებულობით.

და კიდევ, არ ვიცი ეს გატაცებაა თუ სხვა რამ, ვწერ ზღაპრებს. იცით, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი? როგორც წელან გითხარით, ვასწავლიდი „რაინდთა და კეთილშობილ ასულთა საავტორო სკოლაში“. შეიძლება ითქვას, რომ იქ დირექტორმა სპეციალურად ჩემთვის შექმნა ფოლკლორის საგანი. ვასწავლიდი არა მხოლოდ ხალხურ სიმღერებს, არამედ ზეპირსიტყიერებას, ხალხურ თამაშებს, ყველაფერს, რაც ხალხს ეხებოდა. პირველ წიგნს ჰქვია „ბრაზიანი ბატონები“. ბატონები, მოგეხსენებათ, ინფექციური დაავადებაა. სწავლების პროცესში ბავშვებს ვავალებდი, დაეწერათ პატარ-პატარა თემები იმის შესახებ თუ როგორია თავიანთ წარმოსახვაში ეს ბატონთა სამფლობელო. იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანი თემები წარმოადგინეს, ერთ ზღაპრად შეკვრა შეიძლებოდა. მოკლედ, ბევრი ვეცადე შენთვის და გამომივიდა ჩემთვისო, ისე დარჩა, ავდექი და მე თვითონ რაღაცნაირად სულ სხვა კუთხით მოვუყარე თავი ამ ყველაფერს.

ახლა 2 ივნისს ჩემი მეორე წიგნის პრეზენტაცია შედგება თბილისში, გამომცემლობა „პეგასმა“ დაბეჭდა. ვრცელი ზღაპარია ერთ წიგნად, მასში ერთი მხრივ, მოცემულია ბოროტი ძალები ქართული მითოლოგიიდან — დევები, ჭინკები, მაჯლაჯუნები, მეორე მხარეს, რა თქმა უნდა, სიკეთისა და ბოროტების ქალღვთაებებია — წყლის დედა, ადგილის დედა, ცის დედოფალი კამარი, მინდვრის დედოფალი. სიკეთისა და ბოროტის ჭიდილია. ხაზი, რა თქმა უნდა, არის სიკეთის ძიება, ბოროტებისაგან მისი გადარჩენა, რასაც ახორციელებს მეფის ასული შუქითო — დაბადებიდან რომ დაყვა მანათობელი. ამაშია მისი ძალა, მის სიახლოვეს ყველა ხდება კეთილი. ოზურგეთშიც ვაპირებ პრეზენტაციის მოწყობას.

— გილოცავთ და პრეზენტაციაზეც მოგილოცავთ. და ბოლოს, როგორი გინდათ, იყოს თქვენი ხვალინდელი დღე?

— მრავალფეროვანი, წარმატებული. მინდა, რაც შეიძლება ბევრი ბავშვი ჩაერთოს ხალხური სიმღერის, გალობის შესწავლაში, ძალიან მინდა, ჩემი სამივე შვილი გალობდეს ტაძარში. სიზარმაცე, რაც მე ჩემში მეგულება, ნაკლები ჰქონდეს ადამიანს, რომელიც უნდა ისწრაფოდეს, რომ მუდმივად რაღაც აკეთოს.

— სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი. დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. მზიან ხვალინდელ დღეს გისურვებთ.

— თქვენც ასევე.

ესაუბრა **თემურ მარშანიშვილი**.

სულთათანა

თამარ ბურჭულაძე

წლები ვერ ანელებს ტკივილს, წლები მონატრებას ამძაფრებს მხოლოდ...

ამ მონატრებას დღეს შენი სახელი ჰქვია, თამრო.

ყველა 28 მაისი სიყვარულის დღესასწაული იყო, ამ დღეს ხომ შენ დაიბადე – ჩვენო თბილო, მხიარულო თამრო. წუხილსაც იუმორით ალამაზებდი, ავადმყოფობას არ ნებდებოდი და უსაშველო ოპტიმიზმით ელოდი სასწაულს. მხოლოდ წამით „დაგიჭირა“ აპარატმა სევდიანი და ეს სევდა შეჩერებულ წამად შემორჩა შენი საფლავის ქვას. თუმცა, იქ, შენს საფლავთანაც კი ახერხებ, რომ გაგვაცინო ისე, როგორც სუფრასთან ქაღალდის ნაგლეჯზე, ექსპრომტად დაწერილი ლექსებით გვაცინებდი. ოღონდ მაშინ პირიქით იყო – ტირილამდე ვიცინოდით, ახლა კი ტირილით ვიწყებთ.

უშენოდ მოსული მეხუთე დაბადების დღეს გილოცავთ, თამრო!

გურიანთის საჯარო სკოლა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაცია.

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცენტრის ყოფილი თანამშრომელი, ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, შესანიშნავი მეუღლე, მამა, მეგობარი **ენვერ მაკარის ძე მგელაძე** და თანაუგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ნელი და შოთა ცხომელიძეები იუწყებიან **ენვერ მაკარის ძე მგელაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი „ალიონი“ თანაუგრძნობს შოთა ცხომელიძეს და ნელი ლაგაზაშვილის შვილის – **შოთიკას** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას

გთხოვთ, მომცეთ საშუალება, თქვენი გაზეთით უდიდესი მადლობა მოვახსენო ჩვენს ქალაქის ჯანდაცვის სფეროს მუშაკებს, რომლებიც კეთილსინდისიერად, პროფესიონალურ დონეზე ემსახურებიან პაციენტებს. ამ დღეებში მეც ვიყავი მათი რიგითი პაციენტი, თვალის ოპერაცია გამიკეთეს სასწრაფოდ.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ისინი, ვისაც ახლა დავასახელებ, თავიანთი საქმის დიდი პროფესიონალები არიან:

ოზურგეთის სოციალური მომსახურების მთავარი სპეციალისტი, ექიმი დავით მახარაძე, რომელიც, თავის ჯგუფთან ერთად, უამრავ სიკეთეს თესავს. ღმერთმა კვლავ შეაძლებინოს ამ ხალხს ანალოგიური საქმეები ჩვენი სოციალურად დაუცველი ადამიანების საკეთილდღეოდ.

აქვე განსაკუთრებული სამადლობელი მინდა გამოვთქვა ოზურგეთში მოქმედი „თვალის კლინიკის“ თანამშრომლებისადმი. კლინიკაში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ აქ დიდი პასუხისმგებლობით ხვდებიან ნებისმიერ პაციენტს. ადვილი შესამჩნევია ის ფაქტიც, რომ კლინიკის დირექტორს, ქალბატონ თინათინ დვალს თავის ირგვლივ შესანიშნავი სპეციალისტები ჰყავს შემოკრებილი. ყველა უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას. დიდი მადლობა ოფთალმოლოგ ეკა რაფავას. რაც შეეხება დამსახურებულ პროფესორს, ბატონ ალექსანდრე ალექსიძეს, ქედს ვიხრი მის წინაშე. მარჯვენა დაგელოცოს, ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ ჩვენი ერისა და ბერის საკეთილდღეოდ, ბატონო ალექსანდრე!

ოპერაციამ, მიუხედავად იმისა, რომ რთული აღმოჩნდა (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის), მშვიდობიანად და შედეგიანად ჩაიარა.

უღმესი მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, ქალაქის მერიას, ბატონებს – კონსტანტინე შარაშენიძესა და ირაკლი სირაძეს გვერდში დგომისთვის.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!

ასევე ძალიან დიდი სამადლობელი მინდა მოვუხადო აფთიაქ „ისიდორეს“ კეთილსინდისიერი, პროფესიონალური მომსახურებისათვის. ფტიაქი „ისიდორე“ ჩემი ოჯახის აფთიაქიცაა.

მადლობა თქვენ, ბატონო ისიდორე, თქვენს თანამშრომლებს სალომე ვადაჭკორიასა და მაია რამიშვილს.

ჯემალ კეჭაყმაძე

სკანვორდი



№ 20-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე –ზურაბ ანდღულაძე, ცნობიერების დაკარგვა – დელირიუმი; მტაცებელი ცხოველი – ტურა; აქციონერთა მოგება – დივიდენდი; ვოკალური ფორმა – არიეტა; სიხარულის შეძახილი – ვაშა; ქსოვილის ბუსუსი – ხაო; ჯიუტი – ურჩი; დინამოს ბერძენი ფეხბურთელი – ილიადი; მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში – იორი; ქალაქი იტალიაში – მილანი; დაბადების მოწმობა – მეტრიკა; ერთუჯრედიანი ცხოველი – ამება; ორნამენტის სახეობა – გირლანდი; გადამფრენი ფრინველი – გედი; ლიტერატურული პრემია - საბა; ქიმიური ელემენტი – ნატრიუმი; შიშინა ასობგერა – შ; რძის ნაწარმი – ყველი; ბერძენი მომღერალი – იოანა; სავაჭრო ობიექტი – მაღაზია; მამაკაცის სახელი – რამიზი; სიარულის უნარის დაკარგვა – აბაზია; საქართველოს ისტორიული მხარე – ტაო; ზამშე – ნატი; სიმფეროპოლის საფეხბურთო კლუბი – ტავრია; მოუხარშავი – უმი; რუსული თვითმფრინავი – ილ; თეატრალური ჟანრი – ვოდევილი; ივერთა ქვეყანა – ივერია; „ელგუჯას“ პერსონაჟი – მზაღო; წყნეთელი გმირი ქალი – მაია; მოქანდაკის ინსტრუმენტი – ბოლტშტიხელი; თმის ბუნებრივი საღებავი – ინა; დედა მოფერებით – დე; საერთაშორისო ხელშეკრულების შედგენის წესი – ალტერნატი; დეკორატიული მცენარე – აგავა.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ჯავშნოსანის უფროსის „მაგიერი“ - პორფილე გორგოშიძე

წმინდა გიორგის ჯვრის ორგზის კავალერი პორფილე გორგოშიძე, რომელიც, ვლადიმერ გოგუაძესთან ერთად, იბრძოდა საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსან მატარებელზე, დაიბადა 1892 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში. 1902 წელს იგი შეიყვანეს ლიხაურის დაწყებით სკოლაში, მაგრამ უსახსრობის გამო სკოლის დასრულება ვერ შეძლო.

1909 წელს პორფილე თბილისში გააგზავნეს სასწავლებლად. ამ საქმეში მას დაეხმარა მისი უახლოესი მეზობელი სოლომონ ხომერიკი, რომელიც იმჟამად თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა. პორფილე თბილისში მოეწყო სასწავლებლად და თან მუშაობდა არუთინოვის სტამბაში, ისწავლა ასოთამწყობობა და თავდაუზოგავად შრომობდა ,

ოჯახსაც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. 1912 წლიდან მუშაობს გაჩეჩილაძის სტამბაში, სადაც აწყობს ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“ (გამომცემელი იოსებ იმედაშვილი), გაზეთ „თანამედროვე აზრს“(რედაქტორი მ.გორდელაძე) და სხვა. აქ მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან, იოსებ გრიშაშვილთან, გალაკტიონთან, გიორგი ქუჩიშვილთან და ბევრ სხვა ცნობილ ქართველ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან. მათთან ურთიერთობებით ლიხაურელი გლეხის ბიჭი ეზიარებოდა დიდ ქართულ ლიტერატურას.

1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და პორფილე გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. რუსეთ-თურქეთის ფრონტზე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის ორგზის დააჯილდოვეს წმინდა გიორგის ჯვრით, რაც, როგორც სპეციალისტები ამბობენ, გმირობის ტოლფასი იყო (წმინდა გიორგის ჯვარი დაარსდა 1807 წელს და გაუქმდა 1917 წელს 10 (23) ნოემბერს).

1917 წლის რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებით დრამატულად წარიმართა პორფილე გორგოშიძის სამსახური ქართულ ეროვნულ ჯარში. ეს ის პერიოდია, როდესაც მთელი რუსეთის იმპერია ქაოსმა მოიცვა. მძინვარებდა სამოქალაქო ომი, ბოლშევიკების აგიტაციის შედეგად, რუსეთის ჯარმა დატოვა თურქეთის ფრონტი და საქართველო, ფაქტობრივად უიარაღოდ და ჯარის გარეშე პირისპირ დარჩა თურქეთის წინაარმდეგ. ასეთ დროს გულმხურვალე პატრიოტებმა დაიწყეს ჩამოყალიბება მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბება. ეს რაზმები წინ უნდა აღდგომოდა თურქეთის რეგულარულ არმიას – გამოცდილ ხანგრძლივ ბრძოლებში ნაწრთობს, რომელიც რიცხოვნობით მრავალგზის აღემატებოდა სახელდახელოდ შექმნილ ქართულ შეიარაღებულ ძალებს. ამ დროს ქართული ჯავშნოსანი მატარებლის მცირერიცხოვანმა რაზმმა (სულ 80-მდე მებრძოლი), ვალოდია გოგუაძის ხელმძღვანელობით, გაანადგურა თურქეთის სახელგანთქმული გალიპოლის (ნახევარკუნძული ეგეოსის ზღვაში) დივიზია, რომელიც 7000 მებრძოლს ითვლიდა და, შეიძლება ითქვას, დაღუპვას გადაარჩინა საქართველო. სწორედ ამ ჯავშნოსანი მატარებლის მებრძოლი გახლდათ პორფილე გორგოშიძე და მისი უმცროსი ძმა - ალექსანდრე. ვალოდია გოგუაძის მოგონებიდან: „დილის 9 საათზე ჩაქვის სადგურზე ჩავედით. ჩაქვის სადგური ოსმალოთა ცხენოსან ასეულს დაეკავებინა. ისინი ტყვიისმფრქვეველი ცეცხლით გავანადგურეთ, ოსმალები ჩაქვის მიდამოებშიც ყოფილან და ყოველი მხრიდან სროლა აგვიტეხეს, რკინიგზის გასწვრივ ქვეითი ჯარი გამაგრებულიყო, ...შევუდექით ბრძოლას რკინიგზის გასწვრივ, ერთი ნაწილი მტრისა ბამბუკის ქარხანაში იყო განთავსებული, რომელსაც ჯა-ვშნიანით ვერ მივუდექით, ამიტომ ჯავშნიდან 25 კაცი გადავსხი პორფირე გორგოშიძის მეთაურობით“ (გურამ შარაძე „დაბრუნება“ ტ.3. გვ.438).

პორფირეს მოგონება: „ გმირი ჯავშნოსანი“: ახლა თურქეთი მოდის ბათუმზე და მარცხნიდან ვუწევთ წინააღმდეგობას. მაგრამ მალე ვტოვებთ და მივდივართ. გაზაფხულდა ,1918 წელია, მარტის შუა რიცხვები. ყარაიაზის მიდამოებში დაგვიძახეს: მდინარე ჩოლოქს იქით, მდინარე ოჩხამურის ხიდში ჩავარდნილია ნომერ პირველი ჯავშნიანი, ვუშველეთ. 6 საათი სირბილით ჩავედით, დღის თერთმეთი საათია, მივედით და იმარჯვიან ამოსაღებად. მხოლოდ პარაოზია ჩაწეული, ღიანდაგი გაუფუჭებიათ, გავშალეთ ხაზში და წავედით წინ სამი კილომეტრით და კიდევ მივდივართ, რომ მივცეთ საშუალება პარაოზის ამოღებას, მარა ამ დროს შევამჩნიეთ ქობულეთიდგან აქეთ დაახლოებით 1 კმ ცხენოსანი ჯარი, რაც შეიძლება სიჩქარით მოდიან და ჩავუსაფრდით, მარჯვნივ და მარცხივ, ვართ 60 კაცი.

– ბიჭებო, ხომ ატყობთ დაზვერვაზე მოდიან, ხიდემდის წყნარად იყავით, ჩამოვუშვათ უნდა და როდესაც საკმარისი იქნება, მერმედ ჩვენია, გასაქანი არ ექნებათ და დამაყურეთ, ვერაფერს ვერ შეგვამჩნევენ, მალექცევით უკან კიდევ დარჩენილია ნახევარი კილომეტრი, ამ დროს ერთ დურაქს გაუვარდა თოფი, თუ განგებ გაისროლა, რას იზამ, მოუსვეს უკან, დავაყარეთ ზალპი და რა ვიცი, ცხენიდან ბევრი გადმოვარდა და ამან კი:–მომკალით,განგებ არ მიქნიაო,ახლა ღამდება, პარაოზიც ამოღებულია და მივდივართ ნატანებისაკენ. ჩოლოქის პირზე არ ვართ გადმოსული და ქობულეთში და აქედან ჩვენც შევებით ბრძოლაში და მალე ჩაწყნარდნენ, პირველი ჯავშნიანი წავიდა თბილისისაკენ. რამდენიმე დავრჩით აქ დაზვერვას ვაკეთებთ მდინარე ჩოლოქამდის, ჩოლოქს გაღმიდან დიდძალი შეშა არის, ღიანდაგის გასწვრივ ,დაგროვილია ორთავე მხარეს. პორფილე გორგოშიძე ნამდვილად რომ იყო ჯავშ-ოსანის უფროსის მოადგილე, ამას თვითონ წერს ... 1918 წლის 7 აპრილი, შაბათი, დაღამდა, სხვათა შორის, რუსი სპეციალისტი, რომელმაც წინ ზარბაზნის კრუგთან მოაწყო სწრაფად გასაჩერებელი ვესტინგაუზი (სარკინიგზო მუხრუჭი), ესეც წასულია სამტრედიაში, მალე მოვალო, ღამის 12 საათია, იძახიან მილიციის შენობაში, საჩქაროდ თხოულობენ ჯავშნოსანის უფროსს, იძახის მთავარი შტაბი:–აბა მისი მაგიერი.–რას გვიბრძანებთ?–მომისმინეთ, მდგომარეობა ასეთია: ოზურგეთი, თურქეთის მიერ დაკავებულია და ნასაკირალის გორებზე დასავლეთიდგან აღმოსავლეთის გასწვრივ გამაგრებულნი არიან, რომლებსაც გადმოუარიათ აჭარა, ტალახას მთა და შემდეგ სოფ. ლიხაურითგან და შემდეგ 5 ათასამდე თურქი გამაგრებულია მდინარე ჩოლოქის ხიდის გაღმიდან, გენერალი მაზნიაშვილი ნატანებში დაგვხდებათ, რომელსაც ჰყავს 40 ჯარისკაცი გორელი და კახელი მდინარის გადმოღმიდან თხრილებში. ...ჩვენ წამოვედით საჩქაროთ. სუფსაში,რომ ჩავედით, შევჩერდით, ორი ცალი პურის ფქვილი გვაქვს ვაგონ ჩიზგისში და გამოვიტანეთ ერთი-ერთი ცალი გამოვაცხვეთ, როდესაც დავბრუ-ნდებით დაგვჭირდება. ჩვენი საცხოვრებელი ვაგონი აქ რჩება. გოგუაძეც ჩამოვიდა, ცოტა თათბირი და გავუდექით. ნატანებში დაგვხვდა გენერალი მაზნიაშვილი..აკოპიდან, ჩვენებმა რომ დაგვინახეს, „ურაა“ დაგვიძახეს. მატარებელი მისისინობს, გავიხედე მარცხენა მხარეს, თურქეთის თავები ზღვასავით ღელავს. ისევე მარჯვენა მხარეს, რაც შეშები და ხიდები იყო ,ერმილე ნაკაშიძის მიერ კარიერზე მოტანილი,ყ ველა მარჯვენა და მარცხენა მხარეს გაუკეთებიათ სიმაგრეებათ. ჩვენი მიზანია წასვლა მაქამდე, სანამ დამთავრდებოდეს სიმაგრეები და შემდეგ გავხსნათ ცეცხლი .ჯავშნიანის მოძრაობაში ვიბრძოლოთ, ჯერ კიდევ დილის სიბნელეა და ნელ-ნელა მივდიართ წინ. სწრაფად დავკარი ვესტინგაუსს და ცნობა მეხანიკს: წინა ორი გოგორა შპალებზე დაესო. და ამავე დროს კოხივით ასტეხეს სროლა ყოველი მხრიდან და იმ წამსვე ამუშავდა ჩვენგანაც სამი ზარბაზანი. პირდაპირ ვაყრით თავზე კორტეჟს 14 ტყვიამფრქვევი „მაქსიმა“ ცელავს,წ ინა ჯავშანზე მეტი იერიშია მოტანილი, ასე მიდის სროლა. დღის პირველი საათია, რომ აწყდა ზარბაზანს უკან დამხვევი საწინააღმდეგო პრუჟინა და მწყვიტა მარცხენა ბარკლის ძვალზე, ვგრძნობ, რომ დაფშვნილია. ამავე წამში ვხურავ ზარბაზნის კრუგის კარებს, რომ მომხვდა მარჯვენა ხელის გულში რაზრივნოი ტყვია და დაგლიჯა. სროლა კლებულობს, ტყვია ბევრი მოცივა შითაც, ტყვიამფრქვევის უწყლო როფები(ორმო) გაცხელებული დახვრიტა ტყვიამ.კავშირის მავთულები დაწყვეტილია, გოგუაძე პარაოზშია. ტყვიამფრქვევის პირველი ნომრები დაწყვეტილია, პირში და შუბლში აქვენ ტყვია, ხელი და ბარკალი დაფშვნილი მაქვს. ამ დროს 120 ბომბიან იაშიკს ვხსნი. ვისაც შეუძლია ,ვაწოდებ და სროლილობენ გარეთ, ძმაი ჩემი სამ ადგილზე დაიჭრა, მკვდარია ბოლქვაძე,რომელსაც ვუთხარი სუფსაში...პოლნი კავალერია გერმანიის ფრონტითგან მიდიხარ და ჩვენთან წამოსვლას ვერ დაგაძალებთ ახლა. -მე თქვენთან ყოფნა მინდაო, მითხრა მაშინ. მკვდრები არიან: ცეცხლაძე, გოგუაძე, გორდელაძე და სულ წინა ჯავშანში 7 კაცია მკვდარი, 12 დაიჭრა. უკანა ჯავშნიანს დიდი ზიანი არ მოსვლია, მსუბუქად დაჭრილია 6 კაცი. ახლა ორი საათია, სროლა შეწყდა, ამბავის გასაგებად გადმოვიარე საწყობ ვაგონთან, გარშემო მკვდრის გვამებია გორებია დადგმული. მდინარე ჩოლოქზე გადმოვიდნენ ჩვენებიც აკოპებიდან, თურქებმა მოითხოვეს პერემირი, დაჭრილები გადავედით სანიტარულში, შემდეგ წამოგვიყვანეს ნატანებში ,მოგვათავსეს სადგურის უკან შენობაში ღამის პირველ საათამდის და შემდეგ ქუთაისის საავადმყოფოში (პორფილე გორგოშიძე „რამდენიმე სურათი გურული კაცის ცხოვრებიდან“ გვ.70-72)

რაც შეეხება ალექსანდრეს, რომელიც ძმასთან ერთად იბრძოდა (ის თურმე ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა, შემდეგ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა საბჭოთა საქართველოში. პორფილე კი მენშევიკი იყო. ორივე ძმა ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ალექსანდრე საქართ-ველოს გასაბჭოების შემდეგ მალე დაიღუპა ჭიათურაში გაურკვეველ ვითარებაში).ამ ბრძოლებში პორფილე მძიმედ დაიჭრა, ძლიერ დაუზიანდა მარცხენა ფეხი და მარჯვენა ხელი (როგორც თვითონ წერს-დამეფშვნა ძვალიო). პორფილე სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი ჰოსპიტალში, სადაც მას დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდნენ.

საინტერესოა მისი მოგონება ჰოსპიტალში ყოფნის დროს: „გამისივდა ბარკლის დაფშვნილი ძვალი და ხელის სიმსივნე თითების წინ 4 ვერშოკია გადმორებული და სიგრძე ყურთან არის გასწორებული. ხელი მეტად მტეხს და სიკვდილს მანატრებს, ვწევართ ყველა ერთად ამხანაგები, ჩემს მარჯვნივ ჩემი ძმა წევს და შემდეგ სხვები. აქ ნიანიები არიან გაქცული გენერლის ცოლები. ერთი მათგანი მახსოვს, აგი შენი ძმა მაშვილეო. მე ვპირდები,ნამდვილად გაჩუქებ, ვფიქრომ, იქნებ კარგად მოგვხედონ. მესამე დღეს გამომიძახეს საოპერაციო პალატაში... მარჯვენა ფეხი გაკრული მაქვს, სანიტრებს კი ბეჭები უჭირავთ, იარაღების ჩხრიალის ხმაზე ექიმს ვთხოვე –ექიმო ხელი არ მომჭრა, თან დავამატე – ხელის მოჭრას სიკვდილი მირჩევნია. მაშინვე მიყვირა ––რა არის შენი ხელობა,–ექიმო, კი მოგეხსენებათ, სად გავნადგურდით.არაა მაგი ჩემი საქმე ,სადავ იყავი, თუ საჭირო გახდა, მკლავსაც მოგჭრი და ფეხსაცო.–მაშინ შევძახე–გამიშვით, არ მინდა თქვენი არაფერი, ქე მაინც, დამბანგეთ–მივმართე.–ხლარაფორმა მილიონები ღირს და თქვენთვის დასახარჯი არ გვაქვსო. ამ დროს გაიღო კარები და შემოცვივდნენ ხალათებიანი 12 გიმნაზისტკა და ერთმა მათგანმა დამაკვირდა,–პორფილე ძამია, თუ მიცანი, ვერ მიცანი? ნუ გეშინია, ძამია, ასე ხელი მოგჭრან,არა აქვთ უფლება.–კი, გიცანი. გამიკეთეს ოპერაცია. ცოტა ხნის შემდეგ წამოვედი ოზურგეთში.ხელი მეტად დამახინჯებულია, ჩემ სპეციალობაზე არ გამოვდგები...

დაინვალიდებულ პორფილეს შემდეგ აღარ მიუღია მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში.

გასაბჭოების შემდეგ პორფილემ დაიწყო მუშაობა კოლმეურნეობაში.

პორფილე გამუდმებით ეჭვმიტანილი იყო და იგი ორჯერ (1929 და 1937 წლებში) უმიზეზოდ, ცრუ დაბეზღების საფუძველზე დააპატიმრეს, ორივე შემთხვევაში რამდენიმე თვე იმყოფებოდა მეტეხის ციხეში. იმ შავბნელ პერიოდში დაპატიმრება ფაქტობრივად სიკვდილის ტოლფასი იყო, მაგრამ პორფილეს იმდენად უმწიკვლო რეპუტაცია ჰქონდა, რომ მოხერხდა მისი გადარჩენა.

მძიმე იყო მისი ცხოვრების ბოლო წლები. დიდი ტრაგედია დაატყდა თავს მცირე დროის განმავლობაში დაკარგა 4 დედმამიშვილი. ბავშვობაში გარდაიცვალა 10 წლის და - პატკუ (1900 წ.), შემდეგ ძმები: 13 წლის ზაალი (1918 წ.), 23 წლის სამუელი (1925 წ.), 27 წლის ალექსანდრე (1926 წ.), ამით ოჯახური ტრაგედიები არ დასრულებულა, 1969 წელს მძიმე ავადმყოფობის შედეგად სრულიად ახალგაზრდა გარდაეცვალა ვაჟი–გივი გორგოშიძე, შემდეგ გარდაეცვალა რძალი მარო ხარაიშვილი.

პორფილეს ახასიათებენ როგორც ფიზიკურად ძლიერ, მშვიდ, გაწონასწორებულ, უაღრესად კეთილ, მოსიყვარულე, ყურადღებიან, მიმტევებელ,კარგად მოსაუბრე, პურმარილის მოყვარულ,სხვისი ჭირის გამზიარებელ და დამხმარე პიროვნებას.

ბატონმა პორფილემ და მისმა მეუღლემ ტერეზიმ მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დატოვეს: შვილები - რეზო (მეუღლე – მარო ხარაიშვილი, მისი გარდაცვალების შემდეგ – ჟენია თევდორაძე); გური (მეუღლე - თინა მამალაძე), მერიკო (მეუღლე- იური ანთიძე), ვალიკო (მეუღლე-ნანავერძეული); შვილიშვილები: ალეკო, ნოდარი, ზურაბი, შოთა, ლევანი, მერაბი, გიორგი, გოჩა, გიორგი, მერი, რომელთაც შექმნეს მშვენიერი ქართული ოჯახები.

პორფილე გორგოშიძე ვალმოხდილი სამშობლოსა და ოჯახის წინაშე ვალმოხდილი 86 წლის ასაკში გადაიცვალა. დასაფლავებულია ლიხაურის სასაფლაოზე. ასეთია ერთი ლიხაურელი კაცის ცხოვრების ისტორია.

პორფილე გორგოშიძის სახელის უკდავსაყოფად სასურველი იქნება ოზურგეთის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი.

ეროვნული სამოსის დღე ოზურგეთში

18 მაისს, დილით, ოზურგეთში ეროვნული სამოსის დღე აღნიშნა. თავდაპირველად იყო მსვლელობა ოზურგეთის ცენტრალურ ქუჩებში. „ჭადრების ბაღში“ გაიმართა ფოტოგამოფენა, რომელშიც აღბეჭდილი იყო მე-18-19 საუკუნეების ქართველების ჩაცმულობის და ქცევის კულტურა. აქვე გაიმართა კონცერტი

„ჩემი საქმეა“ – კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდები დაჯილდოვდნენ

ალიონი. 23 მაისს ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრ „პროგრესის სახლში“ გამარჯვებული ახალგაზრდები დაჯილდოვეს.

კონკურსში „ჩემი საქმეა“ 14 ახალგაზრდა მონაწილეობდა. თითოეულს შეეძლო, წარმოედგინა რამდენიმე ნამუშევარი, რომლის ფორმატი შეზღუდული არ იყო. გამოვლინდა სამი გამარჯვებული: ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე **ალექსანდრე ფასიეშვილი,** ლა-ითურის საჯარო სკოლის მოსწავლე **ანი თუთისანი** და თხინვალის სა-ჯარო სკოლის მოსწავლე **თამარ სირაძე.** გამარჯვებულებს ფულადი პრიზები გადაეცათ.

კონკურსი 2019 წლის თებერვალში გამოცხადდა და მისი მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების ხელშეწყობა. კონკურსში მონაწილეობა 14-დან 25 წლამდე ახალგაზრდებს შეეძლოთ. საკონკურსო თემა იყო „ჩემი საქმეა“, რაც გულისხმობდა თემში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის ავტორისეული ხედვის ან გამოცდილების გაზიარებას..

მგავსი ტიპის კონკურსი მომავალი წლისთვისაც იგეგმება, 2019 წლის საკონკურსო ნაშრომების გაცნობა კი შესაძლებელია საიტზე **WwW. guria.ge**

კონკურსი გურიის რეგიონული ჰაბის (ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“) მიერ იყო ორგანიზებული, პროექტის „სამოქალაქო განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (**KAS**) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (**CSI**), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (**CTS**), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (**CSRDG**) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (**EDEC**) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

თენგო თოიძის მორიგი წარმატება და მსოფლიო პირველობის საგზური



თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი 8,10, 12,14, 16 და 18 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის, რომელშიც ქვეყნის ყველაზე წარმატებული 500-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა. გურიის რეგიონიდან (ლანჩხუთი, ოზურგეთი და ჩოხატაური) მასში ოცზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა, რომლებმაც ეს უფლება საქართველოს პირველი ლიგის (დასავლეთის ზონა) ჩემპიონატში და გურიის რეგიონალურ პირველობებში მიღწეული შედეგებით მოიპოვეს. ჯამური შეფასებით გურულ მოსწავლეებს ურიგოდ არ უსპარეზიათ, თუმცა ბევრმა ბოლომდე ვერ გამოავლინა თავიანთი შესაძლებლობები. სამაგიეროდ ოზურგეთელი ჭადრაკის მოყვარულები ისევ გაახარა 10 წლის თენგო თოიძემ, რომელმაც გურიიდან წარგზავნილებს შორის ყველაზე მაღალი შედეგი და სათამაშო კლასი აჩვენა. კლასიკურ ჭადრაკში ქვეყნის ოთხ საუკეთესო მოჭადრაკეთა შორის დაიკავა ადგილი და მსოფლიო პირველობაზე თამაშის უფლებაც მოიპოვა. მისი ესოდენ დიდი წარმატება შემთხვევითი რომ არაა, მან სწრაფ ჭადრაკშიც-რაპიდში(30-40-წუთი პარტიაზე) და ბლიცებშიც ჩატარებულ ანალოგიურ ჩემპიონატებშიც დაამტკიცა, რომლებიც კლასიკურ ჭადრაკში ჩატარებული ჩემპიონატის შემდეგ გაიმართა. სამივე ჩემპიონატში მან 70 პროცენტზე მეტი(!) აიღო და შესაბამისად რეიტინგები მნიშვნელოვნად მოიმატა, აქვე უნდა აღინიშნოს თენგოს მწვრთნელის, ოსტატობის კანდიდატის ქალბატონ ნინო წიტაიშვილის ღვაწლი,რომლის აღსაზრდელები ბოლო პერიოდში სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. გურიიდან წარგზავნილებს შორის ერთერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა ნინოს შვილმა ლიზი ვასაძემ, რომლის ჩემპიონატზე წაყვანა მას თავიდან დაგეგმილი არ ჰქონდა. გურულებიდან მოსალოდნელზე ნაკლები, მაგრამ მაინც კარგი შედეგები აჩვენა საქართველოს გასული წლის ჩემპიონმა, ლანჩხუთელმა 12 წლის მარიამ ჩხაიძემ . კარგად დაწყებული სტარტის შემდეგ ველოდით 8 წლის ნიკა ბარამიძეც მოიპოვებდა მსოფლიო პირველობის საგზურს, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩემპიონატისთვის კარგად იყო მომზადებული 12 წლის ანა მეგრელაძე, მაგრამ შეჯიბრების დაწყების წინა დღეს ბაბუა გარდაეცვალა და თბილისში ვერ გაემგზავრა.

პროექტი „ჩვენ შეგვიძლია“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის კონკურსს „უსაზღვრო შესაძლებლობების“ ფარგლებში „საქველმოქმედო ასოციაცია გურია“ ახორციელებს პროექტს „ჩვენ შეგვიძლია“.

პროექტში ჩართული იქნება ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხ-ატაურის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი შშმ პირები.

პროექტის ფარგლებში 7 ივნისიდან 14 ივნისის ფარგლებში გაიმართება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეული სხვადასხვა კულტურული და სპორტული აქტივობებით:

I დღე - 7 ივნისი - კვირეულის გახსნა, საზეიმო კონცერტი, კულტურისა დასვენების პარკი;

II დღე - 9 ივნისი - ავტო შეჯიბრება, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

III დღე - სპორტული შეჯი-ბრებები: შაში, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, ნარდი;

IV დღე - საზეიმო დახურვა 14 ივნისს - გამარჯვებული მონაწილეების დაჯილდოება, კვირეულის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება, კვირეულის ფარგლებში მომზადებული ფოტოების პრეზანტაცია, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

კვირეულის ფარგლებში მომზადდება საიმიჯო კლიპი, რომელშიც აისახება პროექტის აქტივობების მიმდინარეობა.

კვირეულის ფარგლებში გასამართ სპორტული აქტივობებში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ გურიის რეგიონში მაცხოვრებელ შშმ პირებს.

მსურველები უნდა დაუკავშ-ირდნენ „საქველმოქმედო ასოციაცია გურიის“ წარმომადგენლებს **(59599-4141, 577325-390), ან** მივიდნენ მის ოფისში მის. **კოსტავას 125;**

სიახლეები განათლებაში

ალიონი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ბერიკა შუკაკიძემ ოზურგეთის საჯარო სკოლის პედაგოგებს განათლების სისტემაში დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა. შეხვედრა გასული კვირის ხუთშაბათს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში შედგა.

საჯარო სკოლებში ახალი პროექტის განხორციელება გულისხმობს რომ საპენსიო ასაკის პედაგოგები, რომლებიც პროფესიიდან გასვლას გადაწყვეტენ მიიღებენ თანხას ორი წლის ხელფასის ოდენობით, ამასთან, მათ შეუნარჩუნდებათ ჯანმრთელობის დაზღვევა; ის პედაგოგები კი, რომლებსაც სტაჟუსის შენარჩუნება სურთ და არ აქვთ საკმარისი კრედიტქულები,პროფესიული გადამზადების ტრენინგს გაივლიან.

საინფორმაციო შეხვედრის მეორე ნახევარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ცვლილებების ავტორებმა პროექტს „ „ადამიანზე ორიენტირებული“ უწოდეს.

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი

საჭადრაკო კლუბი „გურია“ საქართველოს საკლუბო საჭადრაკო ჩემპიონატის მორიგ ტურს ქ.ხონში ადგილობრივ „ხონთან“ გამართავს. როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, რომ კლუბები ერთმანეთთან 8 დაფაზე ასპარეზობენ. მათ შორის ექვსი დაფა განსაზღვრულია ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, ხოლო ორი დაფა დიდებისათვის. გოგონებისათვის ცალკე დაფები გათვალისწინებული არ არის, თუმცა მათ შეუძლია სხვა ნებისმიერ დაფაზე

ითამაშოს. დებულებით კლუბის შემადგენლობაზე განაცხადები ჩემპიონატის დირექტორატს წინასწარ ეგზავნება და მასში ცვლილების შეტანა არ დაიშვება. საჭადრაკო კლუბმა“გურიამ“ 24 მაისს წარადგინა კლუბის სანაკრებო შემადგენლობა, რომელიც ქ.ხონში ითამაშებს. ესენია: I დაფა-დავით ცეცხლაძე (გუნდის კაპიტანი),II-გი-ორგი გოგოლაური, III-თორნიკე მახარაძე (16 წლამდე), IV-ლუკა ღლონტი (14 წლამდე), V-ანა მეგრელაძე (12 წ.), VI-თამარ ასათიანი (12 წლამდე), VII-თენგიზ თოიძე (10 წლამდე), VIII-ნიკოლოზ ბარამიძე (8 წლამდე). წინა ტურიდან განსხვავებით გუნდში ორი ცვლილება გა-ნხორციელდა. კერძოდ გივი სიამაშვილი ჩაანაცვლა გიორგი გოგოლაურმა, ხოლო ანდრია კიკაბიძე ნიკოლოზ რამიშვილმა. ოზურგეთელთა გუნდის ხელმძღვანელის ზურაბ ანდღულაძის თქმით ხონელებს კარგი გუნდი ჰყავს და ჩვენთან უეჭველ მოგებას აპირებენ, თუმცა ჩვენც მოგებისთვის მივდივართ ხონში.

7 დღის ამინდის პროგნოზი

27 მაისი
ორშაბათი
მზე, ღრუბელი
+12+22

28 მაისი
სამშაბათი
მზე,
+15+26

29 მაისი
ოთხშაბათი
მზე,
+16+28

30 მაისი
ხუთშაბათი
მზე,
+16+29

31 მაისი
პარასკევი
მზე, ღრუბელი
+16+28

1 ივნისი
შაბათი
მზე, ღრუბელი
+16+25

2 ივნისი
კვირა
მზე, ღრუბელი
+15+23